

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №63**

21 თებერვალი 2024 წ.
12:00 სთ

ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან არველაძე, ლევან დავითაშვილი, ავთანდილ ცინცაძე, ანა გოგოლაძე, არჩილ გორდულაძე, საბა ბუაძე, აკაკი ალადაშვილი, მიხეილ კაკაურიძე.

მოწვეული სტუმრები:

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი - ირაკლი თავართქილაძე

საფინანსო საქალაქო სამსახური-მაია გძელიძე

სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.

კომისიის სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

1. "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (საკრებულოს №12-032404613-03 15.02.2024)

2. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-10 კვარტლის კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.028.013.01.016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“საკრებ.№12-032402648-03 26.01.2024

3. „ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N21ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.028) არსებულ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N649 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.საკრებ.№12-032402648-03 26.01.2024

4. ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში მდებარე 35.10 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083.01.083) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრებ.№12-032402564-03 25.01.2024

5. ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა N28-ში არსებული 16.60 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.060.01.072) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრებ.№12-032402564-03 25.01.2024

6. ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წურწუმის ქუჩა N25-ში არსებული 18.87 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.01.081.006.03.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. საკრებ.№12-032402564-03 25.01.2024

7. ქალაქ თბილისში, გალაკტიონის ქუჩა N3-5-ში არსებული 15.26 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.004.02.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.საკრებ.№12-032402564-03 25.01.2024

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. (ქ.შარტავას ქუჩა)საკრებ.№12-032402563-03 25.01.2024

9. „ქალაქ თბილისში, დავით გამრეკელის ქუჩის I შესახვევი N6-ში (საკადასტრო კოდი: 01.10.14.031.021) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“საკრებ.№15-032404033-03 09.02.2024

10. ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა №76-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.03.003.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032403623-03 05.02.2024)
11. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.135 და N01.19.20.020.069) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“საკრებ.№15-032404363-03 12.02.2024
12. „ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.003.01.529) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“საკრებ.№15-032404363-03 12.02.2024
13. „ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 22 ივნისის N22.950.1016 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“
საკრებ.№15-032404363-03 12.02.2024
14. ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა №107ბ-ში არსებული 47.99 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.08.023.002.01.523) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №16-032404674-03 15.02.2024)
15. ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა №120-ში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.072.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №16-032404674-03 15.02.2024)
16. ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 28.85 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.16.008.074.03.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №16-032404674-03 15.02.2024)
17. ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუსი №8-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.02.004.005.01.119) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №16-032404686-03 15.02.2024)
18. ქალაქ თბილისში, დეკაბრისტების გასასვლელი №3-ში (საკადასტრო კოდები: №01.18.04.011.045.02.501 და №01.18.04.011.045.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №16-032404686-03 15.02.2024)
19. „ქ. თბილისში, ც. დადიანის N39-ის მიმდებარედ 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.16.02.001.012) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გუბაზისთვის“ (ს/ნ: N202898123) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“. საკრებ.№12-032402628-03 26.01.2024
20. ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №13-23-ის მიმდებარედ არსებული 2623 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.14.011.190) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „იუპიტერი 23“-ისთვის (ს/ნ. 426130386) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032404572-03 14.02.2024)
21. ქ. თბილისში, სოფელ ლისსში მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 13 467 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.16.094.010) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(საკრებულოს №12-032404798-03 16.02.2024)
22. „ქ. თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 023 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.02.001.112) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ (საკრებულოს №12-032404792-03 16.02.2024)

23. ქ. თბილისში, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა N21-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 402 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.01.004.151) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(საკრებულოს №12-032404794-03 16.02.2024)

24. ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9 685 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.16.009.237) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032404556-03 14.02.2024)

25. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ნინო აღუაშვილს (პ/ნ. 01027028448) შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ნინო აღუაშვილის (პ/ნ. 01027028448) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე(საკრებულოს №12-032404619-03 15.02.2024)

26. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ნონა ფიცხელაურს (პ/ნ. 44001001023) შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ნონა ფიცხელაურის (პ/ნ. 44001001023) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე(საკრებულოს №12-032404620-03 15.02.2024)

27. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ენსი დეველოპმენტს“ (ს/ნ. 405385925 - დღეის მდგომარეობით: შპს „დეკა დეველოპმენტ“ - ს/ნ. 405385925) შორის 2021 წლის 11 ივნისს გაფორმებული „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095); ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. N13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10 755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-0324046116-03 15.02.2024)

28. 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერთის“ (ს/ნ. 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხის შეთანხმების თაობაზე (საკრებულოს №12-032404641-03 15.02.2024)

29. კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით შედეგად დაზარალებულ პირთა უძრავი ქონების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული/განსახორციელებელი სამშენებლო პროექტების ფარგლებში რიგი ღონისძიებების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხის შეთანხმების შესახებ.(საკრებულოს №12-03240471-016.02.2024)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: "ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის №33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ბიუჯეტში ცვლილებები კომისიის წევრებს წარუდგინა მაია გძელიძემ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება 2024 წლის 1 იანვრისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთების (200 034,9 ათასი ლარი) გამოყენების და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით, იზრდება სხვა შემოსავლების ნაწილში სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 10 000,0 ათასი ლარით და შემოსავლები კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების

რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობისთვის - 16 000,0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლები - 15 000,0 ათასი ლარის ოდენობით (მათ შორის საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან - 5 000,0 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივებიდან (მიწა) - 10 000,0 ათასი ლარი). შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება სულ 241 034,9 ათასი ლარით და შეადგენს 2 004 389,6 ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები. აღნიშნულის გათვალისწინებით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე, მათ შორის: იზრდება გზების მშენებლობა და აღდგენა (კოდი 01 01 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 23 473,8 ათასი ლარით, გზების მოვლა-შეკეთება ისნის რაიონში (კოდი 01 01 14) - 432,0 ათასი ლარით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებები (კოდი 01 02 01) - 25 346,7 ათასი ლარით, საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენარეკონსტრუქცია (კოდი 02 01) პროგრამის ასიგნებები - 12 043,5 ათასი ლარით, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება (კოდი 02 02) - 209,3 ათასი ლარით, საპროექტო-საძიებო და კვლევითი სამუშაოები, ექსპერტიზა, კონსერვაცია და სხვა ღონისძიებები (კოდი 02 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები - 210,0 ათასი ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია (კოდი 02 05) პროგრამის ასიგნებები - 9 647,0 ათასი ლარით, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა (კოდი 02 06) - 135,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის საქალაქო ღონისძიებები (კოდი 02 09 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 295,1 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 02 09 10) – 850,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 02 09 11) – 1 000,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 02 09 12) – 804,5 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 02 09 13) – 400,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები ვაკის რაიონში (კოდი 02 09 14) – 540,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 02 09 17) – 1 750,0 ათასი ლარით, კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 02 09 19) – 600,0 ათასი ლარით, ქალაქის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 02 10) პროგრამის ასიგნებები - 3 000,0 ათასი ლარით, გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01) – 24 753,4 ათასი ლარით, დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02) - 30 300,0 ათასი ლარით, თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 01) ქვეპროგრამის ასიგნებები – 487,6 ათასი ლარით, ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 02) – 3 720,2 ათასი ლარით, ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) პროგრამის ასიგნებები - 200,0 ათასი ლარით, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი 04 08) – 205,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა გლდანის რაიონში (კოდი 05 01 08) ქვეპროგრამის ასიგნებები - 1 000,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ნაძალადევის რაიონში (კოდი 05 01 09) - 850,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ჩუღურეთის რაიონში (კოდი 05 01 11) - 200,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ვაკის რაიონში (კოდი 05 01 12) - 500,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა საბურთალოს რაიონში (კოდი 05 01 14) - 1 460,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა ისნის რაიონში (კოდი 05 01 14) - 828,0 ათასი ლარით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა კრწანისის რაიონში (კოდი 05 01 16) - 500,0 ათასი ლარით, დაავადებათა სკრინინგი (კოდი 06 01 02) - 800,0 ათასი ლარით, სახსრების ენდოპროტეზირების დაფინანსება (კოდი 06 01 04) - 500,0 ათასი ლარით, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია (კოდი 06 01 06) - 1 080,0 ათასი ლარით, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება (კოდი 06 02 02) - 201,0 ათასი ლარით, სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებები (კოდი 06 02 09) - 1 000,0 ათასი ლარით, სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 06 02 18 13) - 250,0 ათასი ლარით, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) - 1 562,0 ათასი ლარით (მათ შორის ორხევში, მუხაძის ქ.12-ში მდებარე სოციალური საცხოვრისიდან გამოყვანილი 76 უსახლკაროდ რეგისტრირებული ოჯახის ბინის ქირა - 912,0 ათასი ლარი), სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება (კოდი 06 02 22) - 100,0 ათასი ლარი, შინმოვლის თანადაფინანსება (კოდი 06 02 26) - 35,0 ათასი ლარი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა (კოდი 07 01 02) – 27 991,5 ათასი ლარით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) - 4 099,5 ათასი ლარით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) - 590,0 ათასი ლარით, მუზეუმების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 08 03 12) – 2 489,1 ათასი ლარით, ხელოვნების ძეგლებისა და პანთეონების მოვლა პატრონობა (კოდი 08 04 03) - 50,0 ათასი ლარით, კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (კოდი 08 04 04) - 237,6 ათასი ლარით,

სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (კოდი 08 06 03) – 2 770,9 ათასი ლარით, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04) – 17 297,2 ათასი ლარით, ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა (კოდი 08 08 01) – 1 761,3 ათასი ლარით, თბილისის სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრების ხელშეწყობა (კოდი 08 08 02) – 315,5 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები გლდანის რაიონში (კოდი 08 11 01) – 100,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ნაძალადევის რაიონში (კოდი 08 11 02) – 100,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები დიდუბის რაიონში (კოდი 08 11 03) – 235,5 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ჩუღურეთის რაიონში (კოდი 08 11 04) – 50,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები საბურთალოს რაიონში (კოდი 08 11 06) – 100,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები ისნის რაიონში (კოდი 08 11 07) – 100,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები სამგორის რაიონში (კოდი 08 11 08) – 200,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში (კოდი 08 11 09) – 150,0 ათასი ლარით, კულტურულ, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში (კოდი 08 11 10) – 50,0 ათასი ლარით, ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02) პროგრამის ასიგნებები - 3 000,0 ათასი ლარით, მერიის ადმინისტრაციის (კოდი 10 02) - 2 931,2 ათასი ლარით, ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახური (კოდი 10 04) - 22,0 ათასი ლარით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) – 2 038,8 ათასი ლარით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტო (კოდი 10 21) - 133,7 ათასი ლარით, საბურთალოს რაიონის გამგეობა (კოდი 10 32) – 55,3 ათასი ლარით, ისნის რაიონის გამგეობა - 200,0 ათასი ლარით.

ამასთან, „საინვესტიციო/კაპიტალური პროექტების მართვის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 16 თებერვლის N65 დადგენილების გათვალისწინებით, მსხვილი საინვესტიციო/კაპიტალური პროექტი, რომელიც აღემატება 20 მლნ ლარის და მეტი ღირებულების პროექტს ცალკე პროგრამული კოდების სახით უნდა იყოს გამოყოფილი ბიუჯეტში. შესაბამისად, ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების ჩამონათვალს ემატება ახალი ქვეპროგრამა - თბილისის ავტობუსების პარკის განახლება - შევსება (კოდი 01 02 04) - 118 119,9 ათასი ლარის ოდენობით და ახალი პროგრამა - რეკრეაციული ტერიტორიების მოწყობა რეაბილიტაცია (კოდი 03 04) – 26 000,0 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც აერთიანებს შემდეგ ქვეპროგრამებს: სამხედრო ქალაქის პარკის მოწყობა (კოდი 03 04 01) – 6 000,0 ათასი ლარი, ვერის ბაღის რეაბილიტაცია (კოდი 03 04 02) - 10 000,0 ათასი ლარი, ვაკის პარკის შადრევნების და კასკადის რეაბილიტაცია (კოდი 03 04 03) - 10 000,0 ათასი ლარი.

მცირდება საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაცია (კოდი 01 02 02) ქვეპროგრამის ასიგნებები - 113 082,0 ათასი ლარით, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა (კოდი 07 02 01) - 71,1 ათასი ლარით, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა (კოდი 07 04) პროგრამის ასიგნებები – 270,0 ათასი ლარით, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება (კოდი 10 46) - 8 000,0 ათასი ლარით.

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული სსიპ(ებ)-ის და ა(ა)იპ(ებ)-ის საშტატო რიცხოვნობიდან გამომდინარე, დაზუსტდა ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში, კერძოდ: თბილისის ზოოლოგიური პარკის განვითარების ხელშეწყობა (კოდი 03 03 01) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ თბილისის ზოოლოგიური პარკის მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 2 ერთეულით, სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობა (კოდი 06 02 07) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ სოციალური მზრუნველობის სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 1 ერთეულით, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა (კოდი 06 02 21) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 4 ერთეულით, საზოგადოების განათლებისა და ინფორმირების ხელშეწყობა (კოდი 07 02 03) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 11 ერთეულით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა (კოდი 07 03 03) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 8 ერთეულით, ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა (კოდი 07 06 01) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 6 ერთეულით, ს. ახმეტელის სახელობის დრამატული თეატრის (კოდი 08 01 01) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ახმეტელის თეატრის მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 1 ერთეულით, პანტომიმის სახელმწიფო თეატრი (კოდი 08 01 02) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ პანტომიმის თეატრის მომუშავეთა რიცხოვნობა - 9 ერთეულით, საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა (კოდი 08 10) პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ საჯარო ხელოვნების ფონდის

მომუშავეთა რიცხოვნობა შემცირდა 3 ერთეულით, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს (კოდი 10 18) მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 100 ერთეულით. შესაბამისად, ბიუჯეტით განსაზღვრული მომუშავეთა რიცხოვნობა მთლიანობაში განისაზღვრა 4876 ერთეულით.

ბიუჯეტის განხილვა წარმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

მაია გძელიძემ კომისიის წევრების შეკითხვებზე დეტალურად განმარტა, თუ რა საჭიროებისთვის მოხდა თანხების აღნიშნული გადანაწილება.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ საკითხი დადგა კენჭისყრაზე.

მომხრე-9 თავი შეიკავა - მიხეილ კაკაურიძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობამ მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები კომისიის წევრებს წარუდგინა ირაკლი თავართქილაძემ.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-10 კვარტლის კორპუს N9-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.028.013.01.016) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, მე-10 კვარტალში, კორპუს N9-ში, მეოთხე სართულზე არსებული 50.54 კვ.მ ფართის ბინა N16-ი (საკადასტრო კოდი: N01.19.20.028.013.01.016) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე დიმიტრი კვიციანიას (პ/ნ 01027026525).

შსს-ს ცნობით დგინდება, რომ დიმიტრი კვიციანია მითითებულ მისამართზე ცხოვრობს დაახლოებით 25-29 წელია, ხოლო ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ დიმიტრი კვიციანია 37 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N21ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.028) არსებულ უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N649 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა N21ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.10.041.028) არსებული ფართები, რომლებთანაც გასაფორმებელი ხელშეკრულების დანართი N2-ის მუხლი 2-ით გათვალისწინებული იყო საპრივატიზებო პირობა: ქ. თბილისში, კალოუზნის ქუჩა N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.017.008) არსებულ უძრავ ქონებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილი ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამის განხორციელება, რომლის მიზანია ავარიული საცხოვრებელი სახლების დემონტაჟი და ახალი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ამ ხელშეკრულებაზე ქონების შემძენის მიერ ხელის მოწერის შემთხვევაში თანხმობას აცხადებას, აღნიშნული პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებაზე. იმ შემთხვევაში თუ ქონების შემძენის მხრიდან არ იქნება ხელმოწერილი აღნიშნული ხელშეკრულება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების გამოცემიდან 3 (სამი) თვის ვადაში, ეკარგება ყველანაირი მოთხოვნის უფლება ქალაქ თბილისში, კალოუზნის ქუჩა N18-ში მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებით. აღნიშნული მთავრობით დამტკიცებული საკითხი გადაიგზავნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, რომელზეც 2023 წლის 28 დეკემბერს გამოიცა N649 განკარგულება.

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 20 დეკემბრის N23.1990.2215 მთავრობის განკარგულების დანართი N1-ით განსაზღვრული საპრივატიზებო ფართები არ მდებარეობს ავარიულ შენობაში, საჭიროა შევიდეს ცვლილება 2023 წლის 20 დეკემბრის N23.1990.2215 განკარგულებაში და დანართი N2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.

აღნიშნული პროექტის მიზანია დანართი N1-ში განსაზღვრულ პირებს გაუფორმდეთ სტანდარტული პირობებიანი ხელშეკრულება. უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2-ში მდებარე 35.10 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083.01.083) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N2, სართული 7, ბინა N83-ში მდებარე 35.10 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.14.06.008.083.01.083) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ოლეგ მემიაძეს (პ/ნ: 61010001824). შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე ოლეგ მემიაძე 2008 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე; მეზობლების მიერ ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ 2007 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა N28-ში არსებული 16.60 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.060.01.072) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა N28, სართული 7, ბინა N72-ში არსებული 16.60 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.060.01.072) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ზამირ ჯგერენაიას (პ/ნ: 29001004828.) შსს-ს ცნობით და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „ცხუმ-აფხაზეთის“ ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე ზამირ ჯგერენაია (პ/ნ: 29001004828) 2002 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წურწუმის ქუჩა N25-ში არსებული 18.87 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.01.081.006.03.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ალექსანდრე წურწუმის ქუჩა N25, 1 სართულზე არსებული 18.87 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.01.081.006.03.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე თინათინ მერაბიშვილს (პ/ნ: 01027067884). შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით დასტურდება, რომ მოქალაქე თინათინ მერაბიშვილი 1982 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, გალაკტიონის ქუჩა N3-5-ში არსებული 15.26 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.004.02.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, გალაკტიონის ქუჩა N3-5, მე-2 სართულზე არსებული 15.26 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.004.02.501), საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მაია დოლიძეს.

შსს ცნობებით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დგინდება, რომ მოქალაქე მაია დოლიძე 1985 წლიდან ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“. (ქ.შარტავას ქუჩა)

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაუმთავრებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში, „ქალაქ თბილისში, ყიული შარტავას ქუჩა N3-ში (ს/კ: 01.10.13.015.112) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართები პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებით გადაეცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 24 იანვრის N24.100.125 განკარგულების დანართით გათვალისწინებულ პრებს, ამავე განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის პირობების შესაბამისად. 115 ოჯახს -საერთო ჯამში 1311,13 კვმ საცხოვრებელი ფართი.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, დავით გამრეკელის ქუჩის I შესახვევი N6-ში (საკადასტრო კოდი: 01.10.14.031.021) მდებარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საცხოვრებელი ბინები/კომერციული ფართები) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის №10-48 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა წესი , რომლითაც განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პირობები და პროცედურა.

ჩანაცვლების წესის მე-2 მუხლის „თ“ პუნქტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების პროექტის განმახორციელებელ პირად განისაზღვრა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისის განვითარების ფონდი“ (ს/ნ 404384974) .

ჩანაცვლების წესის მიხედვით, „ქალაქ თბილისში, დავით გამრეკელის ქუჩა, შესახვევი I, N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.14.031.021) მდებარე უძრავი ქონების ჩანაცვლების მიზნით, განვითარების ფონდის მიერ გამოცხადდა ტენდერი და გამოვლინდა გამარჯვებული პირი შპს "ბკ ქონსტრაქშენს" (ს/ნ 404537809), რომელთანაც გაფორმდა 2023 წლის 06 დეკემბერს გაფორმებული №23-12-122 ხელშეკრულება „სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება“ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

შესყიდვის ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ მიწის ნაკვეთზე განხორციელდება არსებული 4 (ოთხი) სართულიანი ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის დემონტაჟი და მის ნაცვლად აშენდება ახალი 8 (რვა) სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი. საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე მოეწობა კომერციული და საერთო სარგებლობის ფართები, არქიტექტორული პროექტის შესაბამისად.

ახალი საცხოვრებელი კორპუსის I სართულზე მოეწყობა 211.4 კვ.მ კომერციული ფართი, ხოლო II-VIII სართულების ჩათვლით 41 ერთეული საცხოვრებელი ბინა, ჯამური ფართით 3403.2 კვ.მ. 19 (ცხრამეტი) ერთეული საცხოვრებელი ბინა (ჯამური კვადრატულობით 2,034.7 კვ.მ გარემონტებული მდგომარეობით გადაეცემათ მესაკუთრეებს. 22 ერთეული საცხოვრებელი ბინა (თეთრი კარკასის მდგომარეობით შეფასებული, ჯამური კვადრატულობით: 1,368.5 კვ.მ და 1 (ერთი) ერთეული, ჯამური კვადრატულობით: 211.4 კვ.მ კომერციული ფართი (თეთრი კარკასის მდგომარეობით შეფასებული) რეგისტრირდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად და ანგარიშწორებისას გათვალისწინებული იქნება შემდგომი მიმწოდებლისთვის სამშენებლო, მათ შორის სარემონტო სამუშაოების ღირებულების ნატურით ანგარიშწორების მიზნით, ფართებისა და მათი ღირებულების შეთანხმებული პროპორციის შესაბამისად.

ჩანაცვლების წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ავარიული სახლის ჩანაცვლების შედეგად წარმოშობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებად აღრიცხული უძრავი ქონების განკარგვას, პროექტის განმახორციელებლის წერილობითი მიმართვის შემდეგ, კანონმდებლობით განსაზღვრული წესის

შესაბამისად, უზრუნველყოფს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქონების მართვის სააგენტო, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრება 1 კვ.მ-ზე ქალაქ თბილისში, ღავით გამრეკელის ქუჩა, შესახვევი I, N6-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.14.031.021) მდებარე ავარიული სახლის საბაზრო ღირებულება, რომელიც დადგენილია შემსყიდველის მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევით და აღნიშნული ჩათვლება გადახდილად მშენებლობის განმახორციელებელი პირის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ შესრულებული სამუშაოს ღირებულების შესაბამისი ოდენობით.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა №76-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.03.003.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა N76-ში (საკადასტრო კოდი: N01.14.03.003.002) მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მთავრობის განკარგულების დანართი 1-ში მითითებულ პირებს.5 ოჯახს გადაეცემა ჯამური ფართობი: 111.85 კვ.მ.შსს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ ეს ოჯახები 40 წელი ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.135 და N01.19.20.020.069) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდები: N01.19.20.020.135 და N01.19.20.020.069) არსებული უძრავი ქონებიდან განსაზღვრული ფართები საკუთრებაში გადაეცემა 4 პირს (4 ოჯახს) შსს-ს ცნობებით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, დგინდება, რომ ზემოაღნიშნული პირები მითითებულ მისამართზე ცხოვრობენ დაახლოებით 9-10 წელია. 4 ოჯახს საერთო ჯამში გადაეცემათ 256.14 კვ.მ ფართი

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.003.01.529) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩა N173-ში, კორპუს N3-ში, მეოთხე სართულზე არსებული 37.89 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.16.09.001.003.01.529) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, თანასაკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ნატალია გოგელიას (პ/ნ 01030052403) და თეიმურაზი გოგელიას (პ/ნ 01027017077) . შსს-ს ცნობებით დასტურდება, რომ ნატალია გოგელია და თეიმურაზი გოგელია დაახლოებით 20 წელია ცხოვრობენ მითითებულ მისამართზე.

ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ ნატალია გოგელია და თეიმურაზი გოგელია მითითებულ მისამართზე ცხოვრობენ 1995 წლიდან.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 22 ივნისის N22.950.1016 განკარგულების ნაწილობრივ

ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში, პირველ სართულზე არსებული 68.19 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061.02.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე როლანდი ხოზრევანიძეს (პ/ნ 03001010081). აღნიშნული მოქალაქის ჯანმრთელობის პრობლემების გაუარესების გამო ვერ დაიდო ხელშეკრულება უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ და აღნიშნული უძრავი ქონება წარმოადგენს ისევ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 22 ივნისის N22.950.1016 განკარგულების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 ივლისის N295 განკარგულების დანართი N1-ით გათვალისწინებულ პირს როლანდი ხოზრევანიძეს (პ/ნ 03001010081) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აქტის გამოქვეყნებიდან 3 თვის ვადაში, ჯანმრთელობის პრობლემის გამო არ გაფორმდა ხელშეკრულება უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 22 ივნისის N22.950.1016 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადება ამავე განკარგულების დანართ N1-ის მეშვიდე პუნქტით გათვალისწინებულ ფიზიკური პირის როლანდი ხოზრევანიძის ნაწილში და ქალაქ თბილისში, იაკობ ხვედელიანის ჩიხი N17-ში, პირველ სართულზე არსებული 68.19 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.061.02.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების გზით, მოქალაქე როლანდი ხოზრევანიძისთვის (პ/ნ 03001010081) საკუთრებაში გადაეცემის საკითხის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა №107ბ-ში არსებული 47.99 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.08.023.002.01.523) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ყვარლის ქუჩა N107ბ, 1 სართულზე არსებული 47.99 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.08.023.002.01.523) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით,საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ირმა კაპანაძეს (პ/ნ: 25001004307),რომელიც შსს-ს ცნობით და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით დასტურდება, რომ ოჯახთან ერთად დაახლოებით 25 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა №120-ში არსებული უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.17.02.059.072.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N120, 1 სართულზე მდებარე 25.84 კვ.მ უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.072.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე ლალი გოცაძეს (პ/ნ: 21001000038). შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე ლალი გოცაძე (პ/ნ: 21001000038) დაახლოებით 20 წელია ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობით დასტურდება, რომ 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული 28.85 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.14.16.008.074.03.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, მე-2 სართულზე არსებული 28.85 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.14.16.008.074.03.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე სოფიკო დარჯანიას (პ/ნ: 29001003682). შსს-ს ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე სოფიკო დარჯანია (პ/ნ: 29001003682) 2008 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე; მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ცნობით დასტურდება, რომ მოქალაქე 2010 წლიდან ოჯახთან ერთად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში, მე-4 მიკრორაიონის კორპუსი №8-ში (საკადასტრო კოდი: №01.12.02.004.005.01.119) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, ზღვისუბნის დასახლებაში, მე-4 მიკრო/რაიონის კორპუს N8-ში, პირველ სართულზე არსებული 85.74 კვ.მ ფართის ბინა N119-ი (საკადასტრო კოდი: N01.12.02.004.005.01.119) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე მაია ტურაშვილს (პ/ნ 01001054188). შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დგინდება, რომ მაია ტურაშვილის ოჯახთან ერთად დაახლოებით 18 წელია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დეკაბრისტების გასასვლელი №3-ში (საკადასტრო კოდები: №01.18.04.011.045.02.501 და №01.18.04.011.045.01.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისში, დეკაბრისტების გასასვლელი N3-ში, მეორე სართულზე არსებული 45.42 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.18.04.011.045.01.503) და პირველ სართულზე არსებული 11.92 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: N01.18.04.011.045.02.501) პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა მოქალაქე სლავა ყაველაშვილს (პ/ნ 25001023865). შსს-ს ცნობით და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეების ჩვენებით დასტურდება, რომ სლავა ტყეშელაშვილი მითითებულ მისამართზე ცხოვრობს 2002 წლიდან.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, ც. დადიანის N39-ის მიმდებარედ 6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (ს/კ: N01.16.02.001.012) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „გუბაზის“ (ს/ნ: N202898123) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, „ქ. თბილისში, ც. დადიანის N39-ის მიმდებარედ 6 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ: N01.16.02.001.012) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით განმეორებით გადაეცემა შპს „გუბაზის“ (ს/ნ: N202898123) 5 წლის ვადით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არსებული კიბის უჯრედის შემდგომი გამოყენების მიზნით. აღნიშნულ პირს, მიწის ნაკვეთი მიღებული ჰქონდა იჯარით, მის საკუთრებაში არსებულ ფართში (ს/კ: 01.16.02.001.003.01.502) კიბის მოწყობის მიზნით იჯარას გაუვიდა ვადა. წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს მოთხოვნილი 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემას, 5 წლის ვადით, წლიური საიჯარო ქირის საფასურით - 864 ლარის ოდენობით.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი №13-23-ის მიმდებარედ არსებული 2623 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.14.011.190) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „იუპიტერი 23“-ისთვის (ს/ნ. 426130386) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N13-23-ის მიმდებარედ არსებული 2623 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.14.011.190) 14 კვ.მ მიწის ნაკვეთი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაეცემა, შპს „იუპიტერი 23“-ს (ს/ნ: 426130386) ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წარმოდგენილი საჯარო რეესტრიდან ამონაწერების მიხედვით, აღნიშნული კომპანიის სარგებლობაშია ქ. თბილისში, ი.ჭავჭავაძის გამზირი N19-ში მდებარე N01.14.14.011.019.014.521 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება.

წარმოდგენილი პროექტით, წარმოდგენილია, შპს „იუპიტერი 23“-ისთვის (ს/ნ: 426130386) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N13-23-ის მიმდებარედ არსებული 2623 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.14.011.190) 14 კვ.მ მიწის ნაკვეთის 2027 წლის 19 დეკემბრამდე ვადით. იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხი. წლიური საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება 3 360 ლარით.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, სოფელ ლისსში მდებარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 13 467 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.16.094.010) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, თბილისი მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 31 იანვრის სხდომის ოქმით, სსიპ ქონების მართვის სააგენტოს დაევალა თბილისში, გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის/მოწესრიგების, საგზაო უსაფრთხოების ნორმების დაცვისა და გზის სავალი ნაწილის გაფართოების მიზნით, კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (საკ/კოდები: №01.15.03.004.034; №01.15.03.004.023 და № 01.15.03.004.084) ადგილმონაცვლეობის წარმოება.

მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ქონების მართვის სააგენტომ წერილით მიმართა სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“-ს (ს/ნ 202161098) და ითხოვა პოზიცია მის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპიროს №112-ში მდებარე 483 კვმ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების (საკ/კოდი: №01.15.03.004.034) ადგილმონაცვლეობასთან დაკავშირებით და ამასთანავე შეთავაზებული იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული თბილისში, სოფელ ლისსში მდებარე 13 467 კვმ მიწის ნაკვეთი (საკ/კოდი: N01.72.16.094.010), რაზედაც სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“-ს ღირებულება განსაზღვრესთან დაკავშირებით განაცხადა.

ორივე მიწის ნაკვეთი შეფასდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ და დასკვნების საფუძველზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 1 038 486 ლარით აღემატება კომპანიის საკუთრებაში არსებულ უძრავი ქონების ღირებულებას.

საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა 1 038 486 ლარი, საპრივატიზებო პირობად კი განისაზღვრება შემდეგი: სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადმოცემა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ყოველგვარი უფლებრივი დატვირთვისგან გამონთავისუფლებულ მდგომარეობაში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მისი რეგისტრაციის გზით, გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.

ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვის ვადაში, კომპანია ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და მოსწორებულ-გასუფთავებულ მდგომარეობაში მოყვანა. დემონტაჟის შედეგად მიღებული ქონება ეკუთვნის კომპანიას. დემონტაჟის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში მან უნდა წარმოადგინოს როგორც დემონტაჟის ხარჯი, ასევე უძრავ ქონებაზე განთავსებული ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისათვის საჭირო მოძრავი ქონების ფაქტობრივი ღირებულება.

იმ შემთხვევაში თუ მოძრავი ქონების ფაქტობრივი ღირებულება გადააჭარბებს ხარჯებს, ამ შემთხვევაში სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“ ვალდებულია დასკვნის წარმოდგენიდან ერთი თვის ვადაში, გადაუხადოს მუნიციპალიტეტს მოძრავი ქონების ღირებულებასა და ხარჯებს შორის სხვაობა, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ პირიქით, ხარჯები მეტია მოძრავი ქონების ფაქტობრივ ღირებულებაზე, მათ შორის სხვაობა კომოანის არ აუნაზღაურდება.

მომხრე-8 თავი შეიკავა საბა ბუაძემ, ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთან უმრავლესობამ მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქ. თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 023 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.02.001.112) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, შპს „ლუკოილ ჯორჯიას“-თვის (ს/ნ 204976302), მის საკუთრებაში არსებული , ქალაქ თბილისში, გმირთა მოედანსა და საცურაო აუზს შორის მდებარე 318კვმ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა №1-ის (საკ/კოდი:№01.15.03.004.023) ადგილმონაცვლეობისთვის შეთავაზებული იქნა, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ თბილისში, მინდელის ხიდის მიმდებარედ არსებული 2023 კვმ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.13.02.001.112).

სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილით, მიმდინარე არეალზე მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება მიწათსარგებლობის გენ.გეგმაში საპარკე არეალის მოხსნასთან და ფუნქციური ზონის ცვლილებების შესახებ.კ ერთოდ სსუ-2 ის შეცვლა ტუ-2-ით. მას შემდეგ,რაც განხორციელდება აღნიშნული ცვლილება, სააგენტო შესაძლებლად მიიჩნევს საკადასტრო კოდი: N01.13.02.001.112-ით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხს , ქალაქ თბილისში, გმირთა მოედანსა და საცურაო აუზს შორის მდებარე 318კვმ მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა №1-ის (საკ/კოდი:№01.15.03.004.023) თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.02.001.112) საბაზრო ღირებულება, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნების საფუძველზე, 663 832 ლარით ნაკლებია შპს „ლუკოილ ჯორჯიას“ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (საკ/კოდი : №01.15.03.004.023) საბაზრო ღირებულებაზე. გაცვლა ხორციელდება საპრივატიზებო საფასურის გარეშე, თუმცა გარკვეული პირობებით.

სს „ლუკოილ ჯორჯიას“-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გადმოცემა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ყოველგვარი უფლებრივი დატვირთვისგან გამონთავისუფლებულ მდგომარეობაში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მისი რეგისტრაციის გზით, გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.

ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 თვის ვადაში, კომპანია ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და მოსწორებულ-გასუფთავებულ მდგომარეობაში მოყვანა.დემონტაჟის შედეგად მიღებული ქონება ეკუთვნის კომპანიას. დემონტაჟის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში მან უნდა წარმოადგინოს როგორც დემონტაჟის ხარჯი, ასევე უძრავ ქონებაზე განთავსებული ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისათვის საჭირო მოძრავი ქონების ფაქტობრივი ღირებულება.

იმ შემთხვევაში თუ მოძრავი ქონების ფაქტობრივი ღირებულება გადააჭარბებს ხარჯებს, მათ შორის სხვაობა გამოაკლდება უძრავი ქონებების ფასთა შორის სხვაობას, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ პირიქით, ხარჯები მეტია მოძრავი ქონების ფაქტობრივ ღირებულებაზე, მათ შორის სხვაობა კომოანის არ აუნაზღაურდება.

შპს „ლუკოილ ჯორჯია“ და თბილისის მუნიციპალიტეტის ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში ითანამშრომლებენ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შესაბამისი უძრავი ქონების მოძიებასა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შპს „ლუკოილ ჯორჯიასთვის“ მისი საკუთრების ან სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით ფასთა შორის სხვაობის შესაბამისი ქონების საბაზრო საპრივატიზებო ან/და სარგებლობის საფასურის ანგარიშში ჩათვლის პირობით. თუ მხარეები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას ზემოაღნიშნულზე,ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ფასთა შორის სხვაობის კომპენსაცია ფულადი სახით.

მომხრე-8 თავი შეიკავა საბა ბუაძემ, ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთან უმრავლესობამ მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქ. თბილისში, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა N21-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 2 402 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.01.004.151) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, შპს სან პეტროლიუმ ჯორჯიას“-თვის (ს/ნ 404391136), მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქალაქ თბილისში, ცენტრალური საცურაო აუზის მექანიკური საამქროს მიმდებარედ არსებული 234 კვმ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა №1) სანაცვლოდ შეთავაზებული იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ჯორჯ ბალანჩინის ქუჩა N21-ში არსებული 2 402 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: N01.13.01.004.151).

ორივე მხარის უძრავი ქონება შეფასდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ და მისი დასკვნების საფუძველზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 225 846 ლარით ნაკლებია, კომპანიის კუთვნილი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებაზე,

შპს სან პეტროლიუმ ჯორჯიას“-ს ღირებულება თანხმობა განაცხადა მიწის ნაკვეთების ადგილმონაცვლეობაზე.

საპრივატიზებო პირობები ამ შემთხვევაშიც ანალოგიურია, როგორც სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიას“-საპრივატიზებო პირობები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ და თბილისის მუნიციპალიტეტი ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში ითანამშრომლებენ, თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შესაბამისი უძრავი ქონების მოძიებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიასთვის“ მისი საკუთრების ან სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით, ფასთა შორის სხვაობის შესაბამისი ქონების საბაზრო საპრივატიზებო ან/და სარგებლობის საფასურის (შესაბამისად) ანგარიშში ჩათვლის პირობით.

მომხრე-8 თავი შეიკავა საბა ბუაძემ, ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთან უმრავლესობამ მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9 685 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.16.009.237) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ამხანაგობა „შატილიონმა“, ზაალ ხერხეულიძემ (პ/ნ 01024057310) და ნატო მურცხვალაძემ (პ/ნ 01026015594) განცხადებით მიმართეს სსიპ ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვეს მათ თანასაკუთრებაში, ქ.თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე №211-213 კორპუსების ჩრდილოეთით, ნუცუბიძის ფერდობის I მიკრორაიონის №9-ის მიმდებარედ არსებული 3163 კვმ მიწის ნაკვეთის (საკ/კოდი: №01.14.01.007.295) ადგილმონაცვლეობა.

აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე არქიტექტურის სამსახურის ბრძანებით დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (საცხოვრებელი ზონა 6) კ-1 კოეფიციენტი 0,5; კ-2 კოეფიციენტი-2,5; კ-3— 0,3 და რზ-1. საპროექტო მიწის ნაკვეთიდან დაახლოებით 90 მეტრში ფიქსირდება მეწყრული ზონა და სპროექტო ფერდის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოწყობილია საყრდენი კედელი. პროექტის შეთანხმების ეტაპზე თანამესაკუთრებს დაევალიათ სამშენებლო მოედანზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის წარმოდგენა. ამავე დროს არქიტექტურის სამსახურში რეგულარულად ფიქსირდება მოსახლეობის საჩივრები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებას. მათი ინფორმაციით ტერიტორიაზე მშენებლობის წარმოების შემთხვევაში საფრთხე შეექმნება მიმდებარე განაშენიანებას და გზას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობა. საკ/კოდი: №01.14.01.007.295 -ით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის თანამესაკუთრებისათვის შეთავაზებული იქნა, ლისის ტბის დასახლებაში თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 9 685 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №01.14.16.009.237), რაზედაც მათ თანხმობა განაცხადეს.

საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობა 1 101 030 ლარი.

მომხრე-8 თავი შეიკავა საბა ბუაძემ, ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთან უმრავლესობამ მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ნინო აღუაშვილს (პ/ნ. 01027028448) შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ნინო აღუაშვილის (პ/ნ. 01027028448) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ნინო აღუაშვილს (პ/ნ 01027028448) შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმდა „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება. ხელშეკრულების 1.2 პუნქტის თანახმად, ქონების შემძენს საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება მდებარე: ქ. თბილისი, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N11, სართული 3, ბინა N35, ფართით: 75,00 კვ.მ (ს/კ N01.19.20.020.080.01.01.035).

ხელშეკრულების 1.3. პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების 1.2 პუნქტით განსაზღვრული ქონების გადაცემის სანაცვლოდ ქონების შემძენი საკუთრებაში გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გარკვეულ უძრავ ქონებას.

ხელშეკრულების 2.5. პუნქტის თანახმად საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა, ქონების შემძენის ვალდებულება, კერძოდ, უზრუნველყოს N01.19.20.029.010.01.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე N6823562-02 (16/01/2018) იპოთეკის მოხსნა და აღნიშნულის ასახვა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერში, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ შესაბამისი საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.

ხელშეკრულების 5.3. პუნქტის თანახმად კი, ამ მუხლის 5.2. პუნქტით გათვალისწინებული გარდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო 100 ლარის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სააგენტოს მიერ, N01.19.20.020.080.01.01.035 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ქონებაზე, საკუთრების დამადასტურებელი Nპ-8425 მოწმობა გაიცა 2023 წლის 5 დეკემბრის თარიღით, რომელიც მხარემ ჩაიბარა 2023 წლის 7 დეკემბერს.

ქონების შემძენმა განცხადებებით მომართა სააგენტოს და განმარტა, რომ N01.19.20.029.010.01.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე, ზემოაღნიშნული იპოთეკის უფლების გაუქმებისათვის, საჭირო გახდა იპოთეკის საგნის ჩანაცვლება. აღნიშნულისთვის გაწერილი პროცედურები კი, როგორც ბანკის, ასევე მსესხებლის მხრიდან საჭიროებდა გარკვეულ ვადებს. შესაბამისად, ვინაიდან ხელშეკრულებით გაწერილი 10 სამუშაო დღე არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განხორციელებულიყო იპოთეკის შეწყვეტის რეგისტრაცია, ხელშეკრულების 2.5. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება შესრულდა ვადის დარღვევით, კერძოდ, 2023 წლის 19 დეკემბრის ნაცვლად, 2023 წლის 27 დეკემბერს.

ამასთან, ხელშეკრულების 2.5. პუნქტით გათვალისწინებული იპოთეკის გაუქმების საფუძვლით, სააგენტოს 2024 წლის 18 იანვრის N61-01240183694 წერილით დადასტურდა სააგენტოსა და ნინო აღუაშვილს (პ/ნ 01027028448,) შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. შესაბამისად, ქ. თბილისში, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N11, მე-3 სართულზე არსებულ ბინა N35-ზე (ს/კ N01.19.20.020.080.01.01.035) გაუქმდა რეგისტრირებული შეზღუდვა (რეგ. N892023255686). გარდა ამისა, ამავე წერილით ქონების შემძენს ეცნობა, რომ ხელშეკრულების 2.5. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევისათვის, ამავე ხელშეკრულების 5.3 პუნქტის თანახმად, დაეკისრა პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, კერძოდ, 2023 წლის 20 დეკემბრიდან 2023 წლის 27 დეკემბრის (იპოთეკის გაუქმების თარიღის) ჩათვლით პერიოდზე - ჯამურად 800 ლარის ოდენობით.

ქონების შემდგენმა განცხადებით მომართა სააგენტოს და ითხოვა, ხელშეკრულების 2.5. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევისათვის, ამავე ხელშეკრულების 5.3 პუნქტის თანახმად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება, ვინაიდან დარღვევა გამოწვეული იყო ზემოაღნიშნული ობიექტური მიზეზებიდან გამდინარე.

ქონების შემდგენს ხელშეკრულების 2.5. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევისათვის, ამავე ხელშეკრულების 5.3 პუნქტის თანახმად, 2023 წლის 20 დეკემბრიდან 2023 წლის 27 დეკემბრის (იპოთეკის გაუქმების თარიღის) ჩათვლით პერიოდზე ეკისრება პირგასამტეხლო - ჯამში 800 (რვაასი) ლარის ოდენობით.

მომხრე-9 თავი შეიკავა ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთან უმრავლესობამ მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და ნონა ფიცხელაურს (პ/ნ. 44001001023) შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ნონა ფიცხელაურის (პ/ნ. 44001001023) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და **ნონა ფიცხელაურს (პ/ნ 44001001023)** შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმდა „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება. ხელშეკრულების 1.2 პუნქტის თანახმად, ქონების შემდგენს საკუთრებაში გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება მდებარე: ქ. თბილისი, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ, სართული 5, ბინა N49, ფართობი: 75,00 კვ.მ (ს/კ N01.19.20.020.083.01.01.049). ხელშეკრულების 1.3. პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულების 1.2 პუნქტით განსაზღვრული ქონების გადაცემის სანაცვლოდ ქონების შემდგენი საკუთრებაში გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შემდეგ უძრავ ქონებას:

ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი 3, კვარტალი 1, კორპუსი N1, ბინა N21, ფართობი: 67,35 კვ.მ (ს/კ N01.19.20.029.010.01.021);

ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი 3, კვარტალი 1, კორპუსი N1, სარდაფი ფართობით 6.81 კვ.მ (01.19.20.029.010.01.502);

ქ. თბილისი, დასახლება ვარკეთილი, მასივი 3, კვარტალი 1, კორპუსი N1, სარდაფი, ფართობით: 5.77 კვ.მ (01.19.20.029.010.01.505);

ხელშეკრულების 2.5. პუნქტის თანახმად საპრივატიზებო პირობად განისაზღვრა, ქონების შემდგენის ვალდებულება, კერძოდ, უზრუნველყოს N01.19.20.029.010.01.021 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე N20170830NFICX-I (30/08/2017) იპოთეკის მოხსნა და აღნიშნულის ასახვა სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერში, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ შესაბამისი საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

ხელშეკრულების 5.3. პუნქტის თანახმად კი, ამ მუხლის 5.2. პუნქტით გათვალისწინებულის გარდა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემდგენს ეკისრება პირგასამტეხლო 100 (ასი) ლარის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

სააგენტოს მიერ, N01.19.20.020.083.01.01.049 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ ქონებაზე, საკუთრების დამადასტურებელი N3-8424 მოწმობა **გაიცა 2023 წლის 5 დეკემბრის** თარიღით, რომელიც **მხარემ ჩაიბარა 2023 წლის 7 დეკემბერს.**

ამ შემთხვევაში ქონების შემდგენს ხელშეკრულების 2.5. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევისათვის, ამავე ხელშეკრულების 5.3 პუნქტის თანახმად, 2023 წლის 20 დეკემბრიდან 2023 წლის 21 დეკემბრის (იპოთეკის გაუქმების თარიღის) ჩათვლით პერიოდზე ეკისრება პირგასამტეხლო - **ჯამში 200 (ორასი) ლარის ოდენობით.**

წარმოდგენილია განკარგულების პროექტი, სააგენტოსა და ნონა ფიცხელაურს (პ/ნ 44001001023,) შორის 2023 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების 2.5. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 5.3. პუნქტის შესაბამისად, 2023 წლის 20 დეკემბრიდან 2023 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით პერიოდზე

დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან (ჯამში - 200 ლარის ოდენობით) ნონა ფიცხელაურის (პ/ნ 44001001023) გათავისუფლების შესახებ.

მომხრე-9 თავი შეიკავა ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთან უმრავლესობამ მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და შპს „ენსი დეველოპმენტს“ (ს/ნ. 405385925 - დღეის მდგომარეობით: შპს „დეკა დეველოპმენტ“ - ს/ნ. 405385925) შორის 2021 წლის 11 ივნისს გაფორმებული „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095); ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. N13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10 755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ დონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს დაევალა, რომ უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ;

ზემოაღნიშნული ვალდებულების ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლებსა და კომპანიას შორის 2021 წლის 11 ივნისს გაფორმდა „ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში (ნაკვეთი 06/095); ქ. თბილისში, არჩილ მეფის ქ. N13-15-ის მიმდებარედ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.08.006.230 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული (წინა საკადასტრო კოდი: N01.10.08.006.095; N01.10.07.007.111), 10 755 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულება

კომპანიამ 2024 წლის 7 თებერვლის №04-0124038624-61 განცხადებით მიმართა სააგენტოს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის მოთხოვნით; მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულების მე-3 მუხლს 3.7 პუნქტის შემდეგ ემატება შემდეგი შინაარსის 3.7.1 პუნქტი:

„3.7.1 კომპანია უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ განახორციელოს ამ ხელშეკრულების 3.6. პუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო ღონისძიებების რაოდენობისა და თითოეული ღონისძიებით გასათვალისწინებელი სრული სამშენებლო ფართის მოცულობის ცვლილება იმგვარად, რომ არ შემცირდეს თითოეული ღონისძიებიდან კოოპერატივის წევრებისთვის/სააგენტოსთვის ამავე პუნქტით განსაზღვრული გადასაცემი ფართობის ფართობი და არ გაიზარდოს გადაცემის ვადები. ამასთან, აღნიშნული პირობის დაცვით, კომპანია არ არის შეზღუდული, კოოპერატივის წევრებისთვის/სააგენტოსთვის გადასაცემი ფართის მშენებლობა და გადაცემა განახორციელოს უპირატესად იმ შენობა-ნაგებობებ(ებ)იდან, რომლის მშენებლობა წინ უსწრებს სხვა შენობა-ნაგებობ(ებ)ის მშენებლობას.“

მომხრე-9 თავი შეიკავა ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთან უმრავლესობამ მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ალფა ფროფერტის“ (ს/ნ. 404605094) შორის 2023 წლის 28 სექტემბერს

გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად, ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.16.03.058.062) განსახორციელებელი სამშენებლო პროექტის ფარგლებში ქონების მიმღებ პირთა ნაწილის განსაზღვრის საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2021 წლის 23 აპრილს გაცემული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-582-1-26243 ოქმის (ადმინისტრაციული დაპირება) საფუძველზე, სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/კ: 402010701) (უფლებამონაცვლე: შპს „ალფა ფროფერთი“, ს/კ: 404605094) შორის 2021 წლის 29 აპრილს დაიდო „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულება“, რომლითაც მყიდველს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4-ში მდებარე 26 132 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (№1-დან №13-ის ჩათვლით) (მიწის ნაკვეთის ს/კ: 01.16.03.058.062) , ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პირობით. აუქციონის შედეგების შესაბამისად, საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 1 526 632 ლარის ოდენობით, რაც მყიდველის მიერ გადახდილია.

სააგენტოსა და მყიდველს შორის 2023 წლის 28 სექტემბერს გაფორმდა შეთანხმება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კლასიკო 2020“-ს (ს/კ: 402010701) შორის 2021 წლის 29 აპრილს გაფორმებულ „პირობებით გამოცხადებული აუქციონის №ე-582-1-26243 ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ , რომლითაც ხელშეკრულებაში შევიდა რიგი ცვლილებები და დამატებები.

ხელშეკრულებითა და შეთანხმებით მყიდველის ვალდებულებად განისაზღვრა პრივატიზებულ ქონებაზე არანაკლებ 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის, უფლებრივად უნაკლო, თეთრი კარკასის მდგომარეობაში, მშენებლობადასრულებულ შენობა-ნაგებობაში გადაცემა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ან მის მიერ განსაზღვრული შესაბამისი პირობისათვის, არაუგვიანეს 2025 წლის 29 აპრილისა, ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

პრივატიზებულ ქონებაზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა „ქალაქ თბილისში, ო. კაპანაძის ქუჩა №4, პალიასტომის ქუჩის მოპირდაპირედ, პალიასტომის ქუჩა №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.16.03.058.062; №01.16.03.058.061) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 29 დეკემბრის №440 განკარგულებით. განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, პრივატიზებული ქონება დაიყო 8 საკადასტრო ერთეულად. ამასთან, განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა დაგეგმილია მხოლოდ 4 საკადასტრო საკადასტრო ერთეულზე. №01.16.03.058.078 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სასტუმროს მშენებლობა და აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობის განთავსება დაგეგმილი არ არის. შესაბამისად, შეთანხმების პირობების თანახმად, საცხოვრებელი ფართების გადმოცემა უნდა განხორციელდეს ლოტებზე (№01.16.03.058.080, №01.16.03.058.081, №01.16.03.058.082 და №01.16.03.058.083 საკადასტრო ერთეულები) მშენებარე შენობა-ნაგებობებიდან.

შესაბამისად, ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებული გადმოსაცემი 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართის ნაწილის საბოლოო მიმღებ პირებად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტთან ერთად, მოიაზრება: ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში მდებარე №01.16.04.048.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრეები, ასევე პირები, რომელთაც, თვითნებურად/საკუთრების უფლების რეგისტრაციის გარეშე/ფაქტობრივად აქვთ დაკავებული საცხოვრებელი ფართები პრივატიზებულ ქონებასა და ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში მდებარე №01.16.04.048.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებში . აღნიშნულ პირთა მონაცემები, მათ საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული და მათთვის გადასაცემი ფართები საჭიროებს დაზუსტებას, რის გამოც, შეთანხმების პირობების თანახმად, აღნიშნულ პირთა სია და მათ მიერ მისაღები ფართების მონაცემების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია სააგენტოს მიერ მყიდველს უნდა წარედგინოს დამატებით - შეთანხმების გაფორმებიდან (28.09.2023 წ.) 6 (ექვსი) თვის ვადაში - არაუგვიანეს 2024 წლის 28 მარტისა.

შეთანხმება ითვალისწინებს მესაკუთრეებისა და მფლობელების დაკმაყოფილებას როგორც ხელშეკრულებითა და შეთანხმებით გათვალისწინებული 7 000 კვ.მ. საცხოვრებელი ფართიდან ნაწილის გადაცემით, ისე, მყიდველის მიერ ალტერნატიული შესრულების (მათ შორის, სათანადო ფულადი ანაზღაურების) განხორციელების გზით. შესაბამისი ფართების (ან ალტერნატიული შესრულების) მიღების

სანაცვლოდ, მესაკუთრეებმა მუნიციპალიტეტს უნდა გადასცენ საკუთრების უფლება ქ. თბილისში, პაატა სააკაძის ქუჩა №19-ში მდებარე №01.16.04.048.003 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობიდან მათ საკუთრებაში არსებულ ფართებზე (და მათზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ნაკვეთზე), ხოლო მფლობელებმა უარი უნდა განაცხადონ მათ მიერ თვითნებურად დაკავებულ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ყოველგვარ მოთხოვნის უფლებაზე. შესაბამისი ფართების მიღების სანაცვლოდ, აღნიშნული პირები ასევე გამოათავისუფლებენ მათ მიერ ფაქტობრივად დაკავებულ ფართებს. ამჟამად სააგენტოში წარმოდგენილია დოკუმენტაცია პრივატიზებულ ქონებაზე მფლობელთა ნაწილის მიერ მისაღები ფართების თაობაზე.

მომხრე-9 თავი შეიკავა ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთან უმრავლესობამ მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს: კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით შედეგად დაზარალებულ პირთა უძრავი ქონების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული/განსახორციელებელი სამშენებლო პროექტების ფარგლებში რიგი ღონისძიებების განსაზღვრასთან დაკავშირებული საკითხის შეთანხმების შესახებ.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 09 მარტის №419 განკარგულების შესაბამისად, დედაქალაქში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუმთავრებლობით წარმოქმნილი ვალდებულების საკითხის მოწესრიგებისთვის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის შედეგად დაზარალებული პირებისთვის (შემდგომში - „კოოპერატივის წევრები“) განსაზღვრული უძრავი ქონების, სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემის უზრუნველყოფა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ, ასევე რეგისტრაციისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება და კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე მათთან სათანადო ხელშეკრულებების გაფორმება. კოოპერატივის წევრების უძრავი ქონების უზრუნველყოფის მიზნით, ეტაპობრივად გამოიყოფა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კონკრეტული მიწის ნაკვეთები და სსიპ - ქონების მართვის სააგენტო, უზრუნველყოფს ინვესტორთა მოწვევას (შერჩევას) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ინტერესთა გამოხატვის გამოცხადების გზით. კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამოვლენილი გამარჯვებული სუბიექტი კი იღებს ვალდებულებას, შესაბამის მიწის ნაკვეთზე განახორციელოს სამშენებლო პროექტი, რომლის ფარგლებში აშენებული საცხოვრებელი შენობა-ნაგებობის ნაწილი (თეთრი კარკასის მდგომარეობით), შემდგომში, გადაეცემა სააგენტოს მიერ განსაზღვრულ შესაბამის კოოპერატივის წევრებს, სახელმწიფო საშინაო ვალზე სრულად უარის თქმის სანაცვლოდ. ზემოაღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე, სააგენტოს, განსაზღვრულ კოოპერატივების წევრებსა და შესაბამის მიწის ნაკვეთ(ებ)ზე გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვის ფარგლებში კონკურენტული შერჩევის საფუძველზე გამოვლენილ გამარჯვებულ სუბიექტებს შორის გაფორმებულია არაერთი ხელშეკრულება. გაფორმებულ ხელშეკრულებათა უმრავლესობაში ერთ-ერთ საპრივატიზებო პირობად განსაზღვრულია შემდეგი: „კომპანია ვალდებულია ინტერესთა გამოხატვით გათვალისწინებულ სამშენებლო პროექტთან დაკავშირებით, შესაბამისი მშენებლობის ნებართვა/ნებართვები მოიპოვოს, ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე უზრუნველყოს ამავე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებული პირების საკუთრების/სამომავლო საკუთრების უფლების რეგისტრაცია, მშენებლობა დაასრულოს, შესაბამისი საცხოვრებელი ფართები აღნიშნულ პირებს საკუთრებაში ფაქტობრივად გადასცეს ე.წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობით და შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ი ექსპლუატაციაში მიიღოს, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და წესით“. ამასთან, ხელშეკრულებების თანახმად, შესაბამის მიწის ნაკვეთ(ებ)ზე კომპანიის საკუთრების უფლება რეგისტრირდება ხელშეკრულებებით განსაზღვრული საპრივატიზებო და სხვა ვალდებულებების შესრულების პირობით, რაც აისახება შესაბამის მოწმობაში/საჯარო რეესტრიდან ამონაწერში. ზემოაღნიშნული ჩანაწერის თანახმად, ვინაიდან, მშენებლობის დასრულება/ ექსპლუატაციაში მიღება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობაა, შეზღუდვა საჯარო რეესტრის მიერ შესაძლებელია გაუქმდეს მხოლოდ

კოოპერატივის წევრებისათვის საცხოვრებელი ფართების გადაცემისა და ამ ფართების ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ, კომპანი(ებ)ის მიმართვისა და სააგენტოს მიერ, ვალდებულებების შესრულების დადასტურების შესახებ მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე. ამასთან, კომპანი(ებ)ის მიერ მშენებლობის ლოტებად განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ვალდებულება/ შეზღუდვა შესაძლებელია მოიხსნას (გაუქმდეს) ეტაპობრივად - შესაბამისი სამშენებლო ლოტის დასრულებისა და შესაბამისი პირებისთვის მშენებლობადასრულებული და ექსპლუატაციაში მიღებული შენობა-ნაგებობ(ებ)იდან ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული საცხოვრებელი ფართების ფაქტობრივად გადაცემის შემდეგ, შესაბამისი სამშენებლო ლოტით გათვალისწინებულ მიწის ნაკვეთზე. დანარჩენ მიწის ნაკვეთზე რეგისტრირებული ვალდებულება, შესაბამის ლოტზე გათვალისწინებული პირობების შესრულებამდე, რჩება უცვლელად. ამდენად, ხელშეკრულებების მიხედვით, ვინაიდან, მიწის ნაკვეთ(ებ)ზე მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ საჯარო რეესტრში რეგისტრირებული შეზღუდვის გაუქმება მშენებლობის დასრულებამდე/ექსპლუატაციაში მიღებამდე გათვალისწინებული არ არის, კომპანი(ებ)ის მიერ შესაბამისი მშენებლობის ნებართვ(ებ)ის მოპოვების შემდეგ, ინდივიდუალური ფართების განაწილების ოქმის საფუძველზე ინდივიდუალური ფართების რეგისტრაციისას (ე.წ. „განშლა“), ამავე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შეზღუდვა, ასევე, რეგისტრირდება შესაბამის მიწის ნაკვეთზე წარმოქმნილ ინდივიდუალურ ფართებზე. ზემოხსენებული ხელშეკრულებების ფარგლებში მიმდინარე სამშენებლო პროექტების განხორციელების ეტაპზე, არაერთ კომპანიას წარმოეშა პრაქტიკული პრობლემა. კერძოდ, როგორც აღნიშნულ კომპანიებთან კომუნიკაციის პროცესში გამოიკვეთა, ე.წ. „განშლის“ რეგისტრაციის შემდეგ, ზემოაღნიშნული შეზღუდვის გავრცელება სამშენებლო პროექტის ფარგლებში წარმოქმნილ ინდივიდუალურ ფართებზე სრულად, დამაბრკოლებელი ფაქტორი აღმოჩნდა კომერციული ბანკებიდან სამშენებლო პროექტის დაფინანსების მიღების პროცესში. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 22 ივნისის N22 სხდომაზე მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილება (შემდგომში - „საოქმო ჩანაწერი“): „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს უფროსს - ირაკლი თავართქილაძეს, მიეცეს თანხმობა, კოოპერატიული ბინათმშენებლობის პროექტების ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებზე, კომპანიის მიერ ინდივიდუალური ფართების განაწილების ოქმის (ე.წ. „განშლა“) საფუძველზე ამავე ხელშეკრულების დანართით განსაზღვრულ ფართებზე კოოპერატივის წევრების საკუთრების უფლების/მომავალი საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემდეგ, კომპანიების მოთხოვნის შემთხვევაში, სრული სამშენებლო პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ინდივიდუალური ფართების ჯამური ფართობის (კოოპერატივის წევრებისთვის დანართის შესაბამისად გადასაცემი ფართების ფართობის ჩათვლით) არაუმეტეს 30%-ზე ზემოაღნიშნული შეზღუდვა გაუქმდეს სააგენტოს წერილობითი თანხმობით, რისთვისაც არ არის საჭირო კოოპერატივის წევრების თანხმობა. მშენებლობის ლოტებად განხორციელების შემთხვევაში, ამავე წესით შეზღუდვა გაუქმდეს თითოეულ ლოტში არსებული ინდივიდუალური ფართების ჯამური ფართობის (კოოპერატივის წევრებისთვის შესაბამის ლოტში გადასაცემი ინდივიდუალური ფართების ფართობის ჩათვლით) არაუმეტეს 30%-ზე. ინდივიდუალურ ფართებს, რომელსაც ამ წესის შესაბამისად შესაძლებელია მოეხსნას შეზღუდვა, განსაზღვრავს კომპანია საკუთარი შეხედულებისამებრ. ინდივიდუალური ფართი გულისხმობს სრული სამშენებლო პროექტის ფარგლებში კომპანიის მიერ ინდივიდუალური ფართების განაწილების ოქმის (ე.წ. „განშლა“) საფუძველზე რეგისტრირებულ/ დასარეგისტრირებელ როგორც საცხოვრებელ, ისე არასაცხოვრებელ ფართს.“ აღნიშნული საოქმო ჩანაწერის საფუძველზე, მის მიღებამდე გაფორმებული იმ ხელშეკრულებების ფარგლებში წარმოქმნილ შესაბამის ინდივიდუალურ ფართებზე, რომელზეც სააგენტოში წარდგენილ იქნა შესაბამისი ხელშეკრულების მხარე კომპანიის მოთხოვნა, შეზღუდვები გაუქმდა ზემოხსენებულ -ინდივიდუალური ფართების 30%-ზე. ამასთან, აღნიშნული რეგულაცია გათვალისწინებულ იქნა საოქმო ჩანაწერის მიღების შემდეგ გაფორმებულ შესაბამის ხელშეკრულებებში. მიუხედავად ზემოაღნიშნული გარემოებებისა, სააგენტოში წარმოდგენილ იქნა შპს „არომას“ (ს/ნ: 245599990 - ს/კ: N01.17.07.039.002) 2024 წლის 8 თებერვლის N10/0124039151-61; შპს „ლ. ბ დიდომის“ (ს/ნ: 430044631 - ს/კ: N01.10.06.002.073) 2024 წლის 8 თებერვლის N10/01240391424-61; შპს „ლიტ ჯეო ინვესტის“ (ს/ნ: 243859749 - ს/კ: N01.10.07.007.122) 2024 წლის 8 თებერვლის N10/01240391104- 61; შპს „აბგრეიდ ქონსტრაქშენის“ (ს/ნ: 405542024 - ს/კ: N01.19.39.004.002) 2024 წლის 8 თებერვლის N10/01240392412-61; შპს „დეკა დეველოპმენტის“ (ს/ნ: 405385925 - ს/კ: N01.10.08.006.230) 2024 წლის 9 თებერვლის N04-012404082-61 და შპს „საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფის“ (ს/ნ: 405198806 - ს/კ: N01.72.14.055.214) 2024 წლის 12 თებერვლის N19/01240432196-61 განცხადებები. აღნიშნული კომპანიები აღნიშნავენ, რომ მშენებლობისათვის საჭირო ფინანსების მოზიდვის მიზნით, მათ მიერ დაწყებულია კომერციულ ბანკებთან თანამშრომლობა, საკრედიტო ხაზის გამოყოფისა და მშენებლობის დაფინანსებისათვის აუცილებელი სესხის მოპოვების მიზნით, თუმცა, სამშენებლო პროექტ(ებ)ის განხორციელების უზრუნველსაყოფად, საჭიროა შესაბამის სამშენებლო პროექტების

ფარგლებში წარმოქმნილ ინდივიდუალურ საცხოვრებელ ფართებზე სრულად მოეხსნას დღეის მდგომარეობით, შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შეზღუდვა, რათა შესაბამისმა კომერციულმა ბანკებმა გამოყოფნა საჭირო ოდენობის სესხი და კომპანიებმა დროულად, შეუფერხებლად და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შეძლონ ზემოხსენებული სოციალური პროექტების განხორციელება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულია „უძრავი ქონების დეველოპერი კომპანიების დაფინანსების პრინციპები“, რომელიც კომერციული ბანკებისთვის სავალდებულოდ გასათვალისწინებელია. აღნიშნული პრინციპები განსაზღვრავს დეველოპერული კომპანიებისთვის ამავე სამშენებლო პროექტების დაფინანსების პირობებს, რომლითაც მინიმუმამდეა დაყვანილი აღნიშნული პროექტების განხორციელებისას გასათვალისწინებელი რისკები. ამდენად, იმ შემთხვევაში, როდესაც კოოპერატიული ბინათმშენებლობის პროექტის განმახორციელებელი კომპანია პროექტს ახორციელებს კომერციული ბანკის სრული დაფინანსებით, საქართველოს ეროვნული ბანკის რეკომენდაციების შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, მშენებლობის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები მინიმუმამდეა დაყვანილი. კომერციული ბანკები განიხილავენ და აფასებენ დეველოპერული პროექტის განხორციელებადობის შესაძლებლობას, რის შემდგომაც, პროექტის დაფინანსება ხორციელდება ტრანშების მეშვეობით. ამასთან, კომერციული ბანკები უზრუნველყოფენ განგრძობით მონიტორინგს, რაც გამორიცხავს მსესხებლის მიერ სასესხო თანხების არამიზნობრივად გახარჯვას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასურველია, რომ კოოპერატიული პროექტების განმახორციელებელ სამშენებლო კომპანიებს არ შეექმნათ ხელოვნური ბარიერები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ რეგისტრირებული შეზღუდვის არსებობის გამო და აღნიშნული მიზეზით არ გახდეს შეუძლებელი მათ მიერ კომერციული ბანკისგან შესაბამისი სამშენებლო პროექტის დაფინანსების მოპოვება. აღნიშნული ბარიერების შექმნა, უპირველეს ყოვლისა, ზიანის მომტანი იქნება მუნიციპალიტეტისა და კოოპერატივის წევრების ინტერესებისათვის. შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ კომპანიების მოთხოვნის შემთხვევაში, თუ ისინი დაადასტურებენ, რომ პროექტი სრულად ფინანსდება კომერციული ბანკის მიერ, მათ მიერ კოოპერატიული პროექტების ეფექტურად განხორციელებისა და მშენებლობის პროცესის შეფერხების თავიდან არიდების მიზნით, არსებობდეს შესაძლებლობა, ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამშენებლო პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი სარეალიზაციო ინდივიდუალური ფართებზე, სააგენტოს წერილობითი თანხმობით სრულად ან ნაწილობრივ გაუქმდეს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შეზღუდვა. კერძოდ, კოოპერატიული ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული შეზღუდვა შესაბამისი კოოპერატიული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ, ამავე სამშენებლო პროექტ(ებ)ის განმახორციელებელი კომპანი(ებ)ის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, ინდივიდუალური ფართების განაწილების ოქმისა (ე.წ. „განშლა“) და შესაბამისი კოოპერატიული ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირთა სამომავლო საკუთრების/საკუთრების უფლების რეგისტრაციის შემდეგ, შესაძლებელია გაუქმდეს სრულად ან ნაწილობრივ, სააგენტოს წერილობითი თანხმობით, თუ შესაბამისი კომპანიის მიერ სააგენტოში წარდგენილი იქნება საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკის მიერ გაცემული წერილობითი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება კომპანიასა და კომერციულ ბანკს შორის შესაბამისი პროექტის სრულად დაფინანსების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში - „დაფინანსების ხელშეკრულება“) გაფორმების ფაქტი. ამასთან: · დაფინანსების ხელშეკრულება გაფორმებულ უნდა იქნას არსებითად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებული „უძრავი ქონების დეველოპერი კომპანიების დაფინანსების პრინციპების“ მიხედვით; · დაფინანსების ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს, რომ, კომპანიასა ან/და კომერციულ ბანკს, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წერილობითი თანხმობის გარეშე, არ აქვთ უფლება, დაფინანსების ხელშეკრულებაში შეიტანონ ისეთი ცვლილება, რომელიც ცვლის სამშენებლო პროექტის დაფინანსების ტიპს ან/და შეუსაბამოა დაფინანსების ზემოხსენებულ პრინციპებთან; · დაფინანსების ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს, რომ ბანკი ვალდებულია, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს აცნობოს დაფინანსების ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების შეწყვეტიდან 3 (სამი) სამუშაო დღისა. · იმ შემთხვევაში, თუ დაფინანსების ხელშეკრულება შეწყდება კომპანიის მიერ, კომერციული ბანკისთვის დაფინანსების დაბრუნების ან/და სხვა საფუძვლით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო უფლებამოსილია, ცალმხრივად, კომპანიის ან/და კოოპერატიული ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირთა თანხმობის გარეშე, წერილობით მიმართოს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვოს მიმართვის დროისათვის სამშენებლო პროექტში არსებულ იმ ინდივიდუალურ ფართებზე შესაბამისი კოოპერატიული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შეზღუდვის დაბრუნება/ასახვა, რომლებიც არ არის განკარგული მესამე პირებზე და არ მოიცავს ამ განკარგულების „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ - ჯამურად 30 % ოდენობის ფართებს. გარდა

ამისა, ალტერნატივის სახით, ძალაში რჩება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 22 ივნისის N22 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება კოოპერატიული ბინათმშენებლობის პროექტების ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებებზე, კომპანიების მოთხოვნის შემთხვევაში, სრული სამშენებლო პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი ინდივიდუალური ფართების ჯამური ფართობის (კოოპერატივის წევრებისთვის დანართის შესაბამისად გადასაცემი ფართების ფართობის ჩათვლით) არაუმეტეს 30%-ზე შემოადნიშნული შეზღუდვის გაუქმების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ამ განკარგულების მიზნებისთვის, ინდივიდუალურ ფართებს, რომელსაც შესაძლებელია მოეხსნას შეზღუდვა, განსაზღვრავს კომპანია საკუთარი შეხედულებისამებრ, ხოლო ინდივიდუალური ფართი გულისხმობს სრული სამშენებლო პროექტის ფარგლებში კომპანიის მიერ ინდივიდუალური ფართების განაწილების ოქმის (ე.წ. „განშლა“) საფუძველზე რეგისტრირებულ/ დასარეგისტრირებელ როგორც საცხოვრებელ, ისე არასაცხოვრებელ ფართს. ამასთან, შემოსენებული პირობები არ გავრცელდება იმ კოოპერატიულ ხელშეკრულებებზე, რომლებიც გაფორმებულია კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით შედეგად დაზარალებულ პირთა უძრავი ქონების უზრუნველყოფის მიზნით გამოცხადებული ისეთი ინტერესთა გამოხატვის საფუძველზე, რომელთა საჯაროდ გამოცხადებული პირობების მიხედვით, აღნიშნული საკითხი დარეგულირებული იყო შემოადნიშნული პირობებისაგან განსხვავებულად. შემოადნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას „კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით შედეგად დაზარალებულ პირთა უძრავი ქონების უზრუნველყოფის მიზნით განხორციელებული/განსახორციელებელი სამშენებლო პროექტების ფარგლებში რიგი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 14 თებერვლის N24.220.257 განკარგულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

მომხრე-9 თავი შეიკავა ანა გოგოლაძემ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთან უმრავლესობამ მოიწონა და მხარი დაუჭირა საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე



ირაკლი ხელაძე